

რედაქცია

გოლოვინის პრესბუტერე თავ. მკრან-ბკონის სასწრაფო კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тиф. н. в. в. редакцію «Дროба»

«დროების» ფასი


თბილისის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ქუთაისის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსაზღვრისა

სტრუქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიეი



ამა ჩუბე წლის ოკტომბრის თვიდან უწმინდესის სინოდის ნება-დართვით გამოიცემა ქ. ქუთაისში

მღვ. დ. ლამბაშიძის რედაქტორობით ქართული სასულიერო გაზეთი, სახელად

«მწეხისი»

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა:

- 1) შეატყობინოს სამღვდელთა და სხვთა წოდებას ეკლესიის განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სასოციალურ მმართველობათა, კონსისტორიებთან და მღვდელ-მთავრებთან, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და საღვთო საღატორატურა სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელთა და სხვთა წოდებაში სწავლა და მკვლევარება ქრისტიანობისათვის კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა, და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელთა და საეკლესიო მისამსახურე პირთა ზოგადი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ საშუალო ზეგნის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთი გამოვა ამა წლის ოკტომბრის თვიდან: ოკტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში თითო ნომერი და პირველი იანვრიდან მომავალი წლის დამლეკამდის ორ კვირაში თითოჯერ.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაზეთზე-ნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი. გაზეთის ფასი ამა წლის ოკტომბრის თვიდან მომავალი წლის დამლეკამდის—მეხუთე მანეთი.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწრაფო კლუბის

წავლებაში: სასულიერო სასწავლებლის ზედმხედველს იაკობ ივანეს ძის ფსკაძისა და ამავე სასწავლებლის მასწავლებლის ესტატე ბესარიონის ძის ღამბაშიძისა-მიერ.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდის განტარის წევრის არსი-მანდრიტის გრიგორის-მიერ.

გაზეთის დაბარება წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სასახლეში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის «მწეხისი» რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვარლისში). Вь мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты «МЦКЕМ-СИ».

სტუმრები

(ქრდილოეთის საავტოროსი.)

5 სექტემბერს.

პეტროპოლისი. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო კრებას გარდაუწყვეტია, რომ ივანე სერგეისძე ტურგენიევის დამარხვანზე საბივე აკადემიის განყოფილებათაგან იყვნენ დეპუტატები, რადგანაც, იგი იყო წევრი-კორესპონდენტი აკადემიისა.

კუშტი. ზაგრებში მშვიდობიანობაა, ბანატის სამზღვარზე ადგილები მკირდება.

სოფი. მთავარმა განსაკუთრებითი სესია სახალხო კრებისა, დეპუტატებს მადლობა გა-

დაუხდა სამშობლოს სიყვარულისათვის და გამოუცხადა, რომ კრება მოიწვია მან განსახილველად რეინის გზის კონვენციისა და კანონ-პროექტისა იმ ხარჯის გადახდის შესახებ, რომელიც რუსეთს მოევიდა ოკუპაციის გამო.

თბილისი, 6 სექტემბერს.

ბუშინასწინ აქაურ სამხედრო სასამართლოს კედლებში ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა. სასამართლომ ოფიცერს მიშინკოს, რომელმაც შინ შეიტყუა რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი მაშარსკი და თავის სახლში რევოლვერით მოჰკლა, გადაუწყვიტა სიმბირში რამდენიმე წლით დასახლება, მაგრამ იმემა შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ მიშინკოს ეს «სასტიკი სასჯელი» კიდევ უფრო შეუმცირდეს და თავის შეცოდება მხოლოდ ერთი წლით ციხეში ჩასმით მოინანიოს. მსჯავრედი ყოველად შესანიშნავია, როგორც ნაყოფი იმ შეხედულებისა, რომელიც საზოგადოებას და მეტადრე სამხედრო წოდებას სამხედრო წესწყობილებაზე შეუდგენია. მითონ მიშინკომ შეურაცხება მიიყენა მაშარსკის და ამის სამაგიერო მიიღო კიდევ, მაგრამ ეს არ უნდა გაებუნა მაშარსკის, რადგან მაშარსკი უბრალო ხატის მასწავლებელია და მიშინკო კი ჯერ ოფიცერია და მერე წმიდა ბიორგის ჯერის კავალერი, როგორც ამჟამად იმეორებდა თითონ ბრალდებული თავის გასამართლებელ სიტყვის დროს. შუქანსკელ სიტყვაში სხვადასხვა კიდევ მიშინკომ: მე ღაღატანში დაბადებული ვარ და იქსტუმრის ავად მოკიდება დიდ სირ-

ცხვილად მიანჩიათო, მაგრამ მაინც... ალბად ასე ფიქრობდა მიშინკო როდესაც ლოგიკას ძალას ატანდა. მაგრამ მაინც მე მოკვალ ჩემი სტუმარი, ჩემს ქერ-ქვეშ შემოფარებული მაშარსკი, რადგან იმან შეურაცხება მომიყენა მეცა და ჩემს ღირსებასაცაო. ზოგნი ამას ახირობულს ლოგიკას დაუძახებენ, მაგრამ მიშინკოს ეს ლოგიკა ყოველად-ღლიერ ლოგიკად ეჩვენა და ალბად არც მოსამართლებმა უმტყუნეს თავიანთ ლოგიკას, როდესაც მიშინკოს მიძიმე დანაშაული მსუბუქად დაიჭირეს და მსუბუქის სასჯელის დაწინაშე მოინდომეს.

პროკურორმა ბევრი ილაპარაკა, ბევრი აფთხილა მსაჯულები, რომ თუ მიშინკოს მცირე სასჯელი დაუნიშნეთ, ჩვენ, ბედ-კრულებს, ვინც კი სამხედრო მუნდირის ღირსნი არ გავმხდარვართ, ქუჩაში აღარ გავგველებ, რადგან ყოველ ნაბიჯზედ შეურაცხებას უნდა მოველოდეთო; ბევრი უთითა იმ სასტიკს წესებზედ, რომელთა ძალითაც საბრალო სალდათებს უფროსისადმი სიტყვის შებრუნებისათვის დახვრეტა მოელოთ, მაგრამ პროკურორის სიტყვა დარჩა ამოა ხმად და გაიმარჯვა ჯარის-კაცთა პატივის-დაცვამ და იმ «მხედართა» შეხედულებამ, რომელთაც ერის კაცი პატივის-ცემის ღირსად არ მიანჩიათ და რომელთა აზრით ერის-კაცმა ყოველისფერი უნდა აიტანოს სამხედრო პირისაგან, თუ კი ეს უკანასკნელი იკადრებს და თავს გაუყარებს მას!

სასამართლო ცხოვრების მაჩვენებელი მართო იმით კი არ არის, რომ თვალწინ გადგვიშლის სხვა-და-სხვა ავკაცობის მიმდინარეობას, იმითიც არის რომ ყოველი განაჩენი საზოგადოებას ააღვლევს და ან მის თანა-

ენის თვისებისა და მის სიწმინდისა, და უიმისოდ არცა სხუა რაიმე ხელოვნება არცა გაკეთდება, არცა გამშუბნიერდება. ძრიტიკა არის თვითვე კანონი, რომლისა დარღვევა უნქველად წაანდენს ყოველსავე ხელოვნებას; ამისთვის უთუოდ უნდა ჰსუფვედეს კრიტიკა და ჰქონდეს მას ლიტერატურაში ხმა მალალი. შენი ჰაზრი, რომელიცა გამოაჩენს ქართულის ენის ღრმად კოდნასა, სრულიად მართალია პრაქტიკის მიხედვით; მართალია, ვამბობთ და ვჰსწერთ სახლში, ჰქუჩანასზე და არა სახლში, ანუ ჰქუჩანასზე; მაგრამ რა ვჰქნათ, რომ ესრეთი წერა, თუმცა მეც ვჰსწერ აგრე არის შეცთომამ, უკანონობა? რა ვჰქნათ, რომ ტეორია, დაფუძნებული ენის თვისებაზე, გვიჩუბნებს სრულიად სხუას დაწესებულს კანონსა, რომელსაცა უნდა შეუდგეთ ჩუბნცა? რა ვჰქნათ, როგორ

«დროების» ტელეგრაფი, 7 სექტემბერს.

მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის

(ორი წერილი თ. გრძ. ორბელიანისა. *)

7-ს აპრ. 1875 თბილისით.

ჩემო ბატონო, საყურადღო იაკინთე!

მომიტყვე, ვერ მოვასწარ, რომ შენის წერილის პასუხი წამოვლო შენსავე კაცსა. ძალიან ამბავი მოგეხსენება: ერთი სტუმარი რო გაათავებს ვიზიტსა, მეორე აღებს კარსა და ასე მიდის დღე სადილობამდის; სადილის შემდეგ, ჩუბნს ხანში მიწვე-

*) ეს წერილები მოგვივიდა ჩვენ პაციცემულის ნ. ალექსეევ-მესნიერისაგან, რომელსაც რედაქცია დიდს მადლობას უძღვნის და მიწერილია იაკინთე ალექსეევ-მესნიერისადმი განსვენებულის პოეტისაგან. გვეჭადვთ პოეტისავე მართლ-წერით.

ნილს კაცისათვის საქირაო ცოტა მაინც ჩათვლენა; ამასთანა, დღესასწაულები, პარადები, ვიზიტები, და ამა, სადღა აქვს დრო წერისათვის?

ღაგვიანდა, მაგრამ მაინც კიდევ მოგახსენებთ მე და შაფლან დიდსა მადლობასა თუთის ნამყენებისთვისა. დიან კარგი; მაგრამ მოვესწრებით ამათ ნაყოფსა? და აი ნახე, როგორ შეიცუალა საქართველო შულოარის ბატონსა მიგზავნის ზემო-ქართლელ თუთის ხესა, და გრუჟოვში არ იშლიან ცაციობასა დიდ-მარხვანშიცა!

ახალი ამბავი ეს განლაღს აქა: ოკრუჟენი სულმა გაამართლა ღენერალი ი.—ბ., რომელსაცა აბრალებდნენ კაცის კვლასა, და ამას წინად დაჰსაჯა მყ. პ. ჩ. за истязаніе своей жены ხუთის წლით ირკუტსკში გაგზავნით და მერე 12 წლით საცხოვრებლად სიმბირის ლუბერნიებში. 4-ს აპრილს იყო ქარ-

გრძობას დაიწახურებს, ან უკმაყოფილებას აღძრავს.

მერ ვიტყვი, რომ უკანასკნელი პროცესი ამ უკანასკნელ გრძობას ასცილებოდეს...

შინაური პროცესი

მეცნიერების დამდევს ყოველგან მოსხმის მამების გოდება, რომელთაც სოფლებიდან ჩამოჰყავთ შვილები სასწავლებელში მისაცემად, მაგრამ მომეტებული ნაწილი იძულებულია უეკანსობის გამო უკანვე დაბრუნდეს და შვილიც უსწავლელი დასტოვოს.

მეთაისში, სააზნაურო სკოლაში ეკანსია იყო თუზმე 60 ემაწვილისა და მსურველი კი 200 მეტი იყო. მიმწახიში და პროგინწახიში მეოთხედიც არ მიუღიათ წარმოდგენილ ბავშვებს; სამოქალაქო სამკლასიან სასწავლებელში, რომელიც შარშან გახსნეს, თხოვნა შესულა სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ 40. მეორე კლასიან საქალაქო სასწავლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75.

ძარგი იქნება, გვერდნი იქილამე, რომ ჩვენი სააზნაურო სკოლის კომიტეტი მაინც შეუდგეს სკოლისათვის სადგომის ძებნას. წრეულს ამ სასწავლებელს მოუვიდა მთავრობისაგან ნება-რთვა მეორე პროგინწახიულ კლასის გახსნისა და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს სასწავლებელი გიმწახიად გადაიქცევა და ამისათვის უნდა ვეცადოთ, რომ ეუშოვოთ სამუდამო და კარგა მოზღილი სადგომი. ეს ცოტაც არის მაინც დააკმაყოფილებს ჩვენი ხელის კანონიერს და მეტად მოსაწონს მოთხოვნილებას.

ათონის მთიდან გვერს ბ. ბენედიქტე: ამას წინად მოვიდა აქ ბატონი საგარელი, რომელიც სამეცნიერო განზრახვით კარგა ხანია

შევათანხმობთ ტეორია პრაქტიკასა ისე, რომ არა დაირღვეს, არ წახდეს თვსება და სიწმინდე ენისა? თბილისში მრავალნი ლაპარაკობენ და სწერენ «იმან მოვიდა, ისინი წავიდა» და ესე ცხადად ჰსჩანს, რომ ჰსწარმოებს მხოლოდ კანონის უცოდინარობითა.

ჯერ პირუტლიად მოიხსენე ზოგი ერთი ჩვენი ენისა ის თვსება, ანუ საფუძველი, რომელზედაც მე ვძღვრავარ, და რომლის გარე ჯერ აქამოდის, სხუა არ გვაქუსრა ხელთმძღანად, თუ არ უკანონო წერა უნდოდა ისა და მის მიმდევთა.

ქართველი არის ბუნებით გულსმწრაფლი, ფიცხი, მოუთმენელი; ამის გამო ლაპარაკიცა მისი არის აქართველი, გაცხარებული, ჰსცდილობს მალე გააგებინოს ჰაზრი თვისი, თითქოს არა ჰსცადიან ლაპარაკისათვის, და სიფიცხეში არ დაჰსდევს კანონსა, ჰყლაპავს ზოგჯერ ნახურს სიტყუასა და ხშირად აკლებს

მოგზაურობს სხვა-და-სხვა ადგილებში. სხვათა შორის ყოფილა ის ქიან არაბეთში და პალესტინა-სირიაში. აქ, ათონში, ბ. საგარელი დაჰყო სამ კვირამდინ, რომლის უმეტესი ნაწილი გაატარა ჩვენს ივერიის მონასტერში, სადაც განიხილა არხეოლოგიური ნაშთი ჩვენთა შრომის მოყვარე წინაპართა. სამწუხაროდ ჩვენდა, ბევრი არაფერი აჩვენეს ბ. საგარელს მონასტრელებმა. იმ ასიოდვე წიგნების რიცხვში, რომელნიც ნახა ბატ. საგარელი, შესანიშნავნი არიან: **ღაბადება**, რომელიც დაწერილია მე-X საუკუნეში და ხელთ-ნაწერი საქართველოს ისტორია მახუშტისა. აქ არიან ავრეთვე წიგნები, დაბეჭდილნი თბილისში (XVIII საუკ.) და მეთათა სში (1803 წ.). ია უძველესი და უძვირფასესი წიგნები, რომელნიც მოუვლელობისაგან გაფუჭებულნი არიან და ცალკე იყვნენ, არ უჩვენეს მას. არ უჩვენეს აგრეთვე სხვა-და-სხვა ზედწარწერილები, ოქრო-ვერცხლის ნივთები და სხვანი.—ჩემის თვლით ნახული 1866 წელში ივერიის კარისა ღეთის-მშობლის ხატის ბაღდაძისი, რომელსაც გამოხევენების დროს მოაწყობდენ, ბისონი, ფილონი და ორარი,—ყველა ესენი დაჰფარა შურმან ჰემმარიტებისამან.

ბ. საგარელი იყო იონანე ღეთის-მეტყველის საუანეშაიც, რომელიც მისის ახლის ეკლესიით და ქართული გალობით მოიწონა. ნახა მან ჩვენი ქართველი ბერები, მათი ნამუშაური, გვითხრა მადლობა და გასამხნევებელი სიტყვები მისთვის, რომ მამა-პაპათაგან მრავალის შრომით მოპოებულ ძველ ადგილებს არა ჰკარგავთ და არ იფიწყებთო. ღიდის სიხარულით და პატივის-ცემით მივიღეთ და გვაცილეთ ეს შორიდან მოსული ქართველი მეცნიერი.

მხლა ბატ. საგარელი იმყოფება ძონსტანტინოპოლში, სადაც კიდევ სამეცნიერო გამოკვლევებშია. აქედან ის აპირებს რუსეთში დაბრუნებას.

ერთს, ორს ასოთა სიტყუაში. მაგრამ ესრეთის ლაპარაკის ძალითა არ უნდა შეიცუალოს, არ უნდა დაიკარგოს წერასში არცა კანონი უბნობისა, და არცა თვსება და სიწმინდე ენისა. მეცა აქა, ჩემის დაუდევნელობით, ვჰსწერ არეულად, ხან ისე, ხან ასე, წინააღმდეგ ჩემისვე ჰაზრისა. მეც გახლავარ ქართველი, კანონებს ვერ გაუძლებთ; მაგრამ კანონი კი უნდა იყოს.

ჩტნი ანბანი არის დიდად მდიდარი ხმის განწილვაში; ხშირად ერთი ბგერა გაიყოფა ორად, ესე ეგი ორასად, ორ ხმად: **ბ და ლ, ს და ზ, ს და ზ, ტ და თ, ძ და ძ; ც და წ, პ და ზ, და ესენი როცა შეჰხედებიან ერთი-ერთსა, მაშინ ამათ შორის უძლიერესი აქრობს უღონოსა და გვესმის მხოლოდ ხმა ძლიერისა: ესრეთ, ასო ს იკარგება ლაპარაკსში, როცა შეხედება მეზობლად ზ ანუ ზ, და გვესმის მხოლოდ ეს ორნი უკანასკნელნი, მაგალ: ლამაზს თვა-**

პასთანავე სასიამოვნო ვალად ვრაცხ, გახაროთ, რომ სამეცნიერო მასალებში, რომელნიც ბ. საგარელს შეუკრებია, არის სურათი ჩვენის უყვდავის პოეტის შოთა რუსთველისა, გადმოღებული ივერუსალიმის ქართველთ ჯვარის მონასტრის კვლიდგან, სადაც რუსთველი არის გამოხატული გრძელი წვერით და მდიდრული წითელ ხვერდის, ბეწვის სარჩულიან ტანისამოსითა, მუხლ-მოდრეკილი და ხელთ დაჰყობით შეედრებული.

შორაპნის მახრიდანა გვერენ, რომ მრავალს უწესობას იქ კიდევ ქალების მოტაცებაც მიმატებია. ძორესპონდენტი ამის დასამტკიცებლად რამდენსამე მაგალითს გვისახელებს. ამას გარდა, ამას წინად იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული წვეის სასაფლაოს სუდს მდგომარეობაზედ. ამის შესახებ წვეის მღვდელს ლუკა მალრადეს მიუღია მიწერილობა ბლალაჩინისაგან სასაფლაოს სხვაგან გადატანაზე, მაგრამ მღვდელი თურმე ყურსაც არ იბერტყავს და მიწერილობის შემდეგაც სასაფლაოზედ თურმე მიცვალბულებების დამარხვა არ შეწყვეტილა, რასაკვირველია, ძველის კუბოებისა და ძვლების არე-ღარევის შემდეგ.

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მომავალს წელს ძაგასიის სამეურნეო საზოგადოებას მიეცემა შემწეობა 6000 მანათისა, აგრეთვე ალპის საზოგადოების ძაგასიურ განყოფილებას 1200 მანათი.

იმერეთიდან ერთს ახირებდლს შემთხვევასა გვერენ:

«ივლისის თვეში, როცა მეტის-მეტე სიტყვები კაცს სულს უწუხებდენ, ერთი საბლალაჩინოს მღვდლებს თანთან ბლალაჩინისაგან მიუვიდათ შემდეგი ფიცხელი მიწერილობა: «მამაო X, მოგიწერთ თქვენ, რომ ამ მოწერილობის დროს ისხდეთ, ადგილთ

ლებსში, გვესმის ლამაზ თვლებში. ამადე კანონით ტ აქრობს თ-სა, ძ-ნი ძ-სა, ჰქრობს უ-სა და სხუანი; მაგრამ წერასში უნდა კი იხმარებოდენ ეს ასოები, რათა არა დაირღვეს კანონი, გამოკუთლეული ენის თვსებისაგან.

თანდებულნი ზედა, შინა მოითხოვენ მიცემითსა ბრუნვასა: ჰქჰყანასა ზედა, სსხლსა შინა და, ზემოხსენეულს მიზნისაგამო, ლაპარაკსში შემოკლებიან და გარდაიქცევიან, ზე ში, რომელნიცა მაინც კიდევ არიან იგივე თანდებულნი და მასასადმე მოითხოვენ მასვე მიცემითსა ბრუნვასა,—და რადგანაცა ვართ, სიჩქარის გამო, დაჩუტულნი რაოდენისამე ასოს ჩაყლაპისა, ამის გამო ვამბობთ და ვჰსწერთ ჰქჰყანასე, სსხლში და არის წინააღმდეგი კანონისა. და ახლა გავმინჯოთ, ჰქჰყანასე, სსხლში, რომელს ბრუნვაში არიან? ჰქჰყანას არის წრფელობითსში, სსხლ, არის არა რომელსამე ბრუნვასში. მამა,

და თუ იდგეთ, არ დასხდეთ, ისე მსწრაფლ წამოდით ჰქჰყანასა დაც მაქვს დანუწუხელი ყურადღება მოსალაპარაკებლად ძლიერ საქირო საქმეზე მღვდლებმა, რომელთაც ასეთი მიწერილობა მიიღეს, იფიქრეს, თუ უსათუოდ რაიმე დიდი საქმისთვის, ანუ ახლის მანიჭესტის მოსასმენად იბარებდენ მათ და ამ პაპანაქება სიტყვში დანიშნულს ადგილს გამოცხადდენ. აქ, შემდეგ ჩვეულებრივი შეხვედრისა, ბლალაჩინი უცხადებს მათ: «მამაო, თქვენ კარგად უწყით, რომ ჩვენი სასულიერო კანცელარიის უფროსს რამდენი სარგებლობა მოუტანია ჩვენთვის და კიდევ, იმედია, დიდი სასარგებლო კაცი დარჩება ის ჩვენთვის შემდეგშიაც, ამიტომ მე გიცხადებთ, რომ ამ კაცს პატივი ვსცეთ და ამ განზრახვით შევეკრობოთ რამოდენიმე მანეთი და გავუგზავნოთ მას». მღვდლები ამგვარმა გამოცხადებამ მეტად გააკვირვა. შემდეგ ცოტა მოფიქრებისა, მღვდლები გაიყვნენ ორ ნაწილად; ერთმა ნაწილმა, რომელიც კარგად იცნობს კანცელარიას და იმაში საქმის წარმოებას, მიუგეს ბლალაჩინს: «ბატონო, ჩვენ კანცელარიისაგან და იმის უფროსისაგან არაფერი სარგებლობა არ მოგვეცემა და ამიტომ ყოველსადე შემწეობაზე უარს ვაცხადებთ». მეორე ნაწილმა, რომელსაც უმეტესად პასუხის გებაში მიცემული მღვდლები შეადგენდენ, განაცხადეს შემწეობის სურვილი იმ აზრით, რომ მათი საქმეები კანცელარიაში დიდხანს დარჩენ დაეწყებაში.

«ამის შემდეგ ბლალაჩინმა კიდევ დასძინა: «მამაო, ამ ჩვენს ყრილობას და მოლაპარაკებას რომ ვინმემ სხვა მნიშვნელობა არ მისცეს და მასთან საგანთოდ არ გაიტანონ ხმა, შევადგინოთ განჩინება და დავსწეროთ, რომ სხვის შეუგონებლად და ძალა დაუტანებლად, სრულ მეხსიერებასა შინა მყოფთა გარდაესწყვიტეთ შეკრება თითო კრებულისაგან ორ-

რა კანონი უნდა დაიდუქას ამა თანდებულთათვის? თვისება ჩტნის ენისა მოითხოვს, რომ, რადგანაც სიტყუანი, მაგალითად მოყუბანილნი, უნდა მიიქცნენ მიცემითსში მათის თანდებულის ძალითა, ამის გამო მათ უნდა დაემატოს ს და მერე მიუჯდეს ზმ, ანუ ში, და გამოვიდეს ჰქჰყანასე, სსხლსში, რადგანაც გამოთქმასშიაც, მაინც იკარგება ს, და ამის გამო ჩტსულებრივს ლაპარაკსაცა არ უშლის. თორემ, თანდებულნი ზმ, ში, თუ მოითხოვდენ წრფელობითსა ბრუნვასა, როგორცა ჰსწერენ მრავალნი ჰქჰყანასე, მიწასში, და არა მიცემითსა, როგორცა მოითხოვს თვსება ენისა, მაშ როგორ ითქმის ამ კანონით მობძანდით ჩემი სსხლში, ანუ მადალი მთასე? მსწავლულიცა და უსწავლელიცა იტყვს მობძანდით ჩემს სსხლში, ანუ მადალი მთასე, და აბა, გავმინჯეთ: ჩემსა, ჩემს, არის მიცემითი, ევრეთუჰ მადალსა, მადალს; სსხლში, მთასე, არიან მასე

ორი მანეთისა... სასარგებლოდ ჩვე-
ნისა... და ამისთანა განჩინება კი-
დედაც შეადგინა ბლალორინმა, მაგ-
რამ ეს განჩინი მღვდლებსაგან ხელ-
მოუწერილი ხელში შერჩა მას.

„არ ვიცი თუ ეხლა, რას იზამს ბლა-
ლორინი და ზოგი კი ამბობს, რომ
ბლალორინი ძალის ატანს მღვდლებს
ამ განჩინის სისრულეში მოყვანისა-
თვის. ეს საქმე მოხდა მეთაისის მაზ-
რაში.“

„სულთ და გულთ მოველით,
გამტყუნონ ეს ხმა, ვისიცი რიგია, და
თუ დამნაშავე პირები თანახმანი გახდ-
ნენ ამ ამბისა, მაშინ ესთხოვთ სასუ-
ლიერო მთავრობას ყურადღება მიამ-
ციოს ამისთანა უკანონო მოქმედე-
ბის ზოგიერთი სასულიერო წოდება-
ში მოსამსახურე პირთა.“

„დროების“ კორექსორდენცია.

სოფ. მაშნარნი, 30 აგვისტო. ამ
ცოტა ხანში მომისდა მგზავრად ყოფნა
სოფ. მაშნარში, რომელიც ერთი ვერ-
სის სიშორეზედ უძველესი აღმოსავლეთის
მხრის ქ. სიღნაღსა. მაშნარ ერთი
შემდეგ სოფელთაგანია არის; მცხოვრები
თითქმის ას ორმოც-და-ათამდე ითვლება
და მათგან ნახევარი თუ არა, მესამედი
ხომ ამ გვარი მეკომუნის გამკვლენ,
რომელნიც ასობით და ოთხმოცობით
საქონლის მატრონები არიან და ეს
ქონება შეადგენს მათ აშენებულს ოჯახ-
სიშვილობასა. ერთ კვირას დღეს გამკვე-
დი სოფელში და მაშინათვე გასწივე
განცხადებისაკენ. (სულს, ასე უწოდებ-
ბენ სოფელში), რადგანაც ერთმა განსა-
გუთრებით იქ იცის სხვა-და-სხვა რიგი
ყრილობა. «სუდი» დაწვობილი იყო.
მე მიუხსნლადი ერთს ყრილობას, სა-
იდგანაც მომისმოდა უფრო გაბმული ჩი-
ვილი....

— გამარჯობათ, ძმანო!— ვუთხარი მე
და კვითხე, რას ღაპარაკობდენ, რადგანაც
მივედი თუ არა, ღაპარაკი შესწვიტეს.
— არაფერზედ, შენი ჭირიმე, მიხსუსს

მიცემითში, მხოლოდ სიჩქარისა გა-
მო ვერ გვესმის გარკვევით ასო ს,
განქარებულნი შ და წინსაგან მრავ-
ალნი მსწერენ «ჩემ სახლში», მაგრამ
ესეც არის უკანონო, და არიან მხო-
ლოდ შემოკლებით გამოთქმულნი
«ჩემს სახლში».

მე ასე მგონია, და ასეც მჯერა
თვსება ჩუქნის ენისა, და ამ შემთხვე-
ვასში სხუა კანონი ჯერ აქამომდის
არა გუთქუს-რა, მის მეტი რაადეცა აქა
მოვიხსენიებ. მაგრამ, ვინიცობა, თუ
ეს მოხსენებულნი ტეორია მართლად
დაძველდა, ვაჭუდა და აღარ მჭუტნის
აწინდელსა ჩუქნის ენასა, მაშინ არ
შეიძლება, რომ დაიდუას კანონად
ესე: უკანონობა კი არ შეიძლება:

1) შოველი სიტყუა, რომელიცა
დაბოლოვდება ბ, მ, ო, უ, და რ-
მელსაცა უნდა მიუჯდეს თანდებული
ზე, ანუ ში, მაშინ ის სიტყუა დაიდ-
უას წრფელობითში, მაგალ: ქჭმ-
ყანაზე, მიწაში, ხეში, ხეზე, ოქროში,
ოქროზე და სხუანი; მაგრამ ამ სიტ-

ერთმა უფრო ხანში შესუღმა გაცმა,
რომელიც დაბუნელი იყო ჯოხზედ და
მწუსარების გამოძეველებით ესაუბრე
ბოდა ყველასა.

— მაინც რაზედა ღაპარაკობდით? რა
გაუგებოდა გიდეო კითხვა, მაშინ გლეს-
მაც დამიწყო მასლათა.

— ჩვენს უერთბირობაზედ, ჩვენს
უერთბირობაზედ, შენი ჭირიმე!

— როგორ თუ უერთბირობაზედ?

— ისე, რომ არ არის ჩვენ გლეს-
გაცმაში ერთობა; ისეთს საქმეს გვიშე-
რებინ, რა ან კი როგორ გვიდგია სუ-
ლი; ი დალოცვილ დემრის, — განაგრძო
ბურჯანმა, — გლესგაცმისათვის, ესული კი
მეუწიას და ვეღარ წაურთმევიას!...

— როგორა, ძმანო, სამაგისო რა დაგ-
მართვით განა?

— რა დაგმართვით? ჩვენს ამდენ დუხ-
ჭურბასთან ან კი რა არ დაგკმართე-
ბოდა, ბატონო! მოგესხებებათ, შე-
ნი ჭირიმე, ჩვენ გლესგაცმა...
— ლეჩინის მოქმედებამ ხომ ყველას გა-
დასტრობს...

— როგორ, განა ასეც გაწუხებთ,
ან რა უფლებით? — კვითხე ჩემ მოსაუბრე
მოსუცებულსა.

— გაწუხებენ? — და გაიწინა-გამოქ-
ნის თავი: გაწუხებენ და ისიც როგორ,
«შენი ჭირიმე»... აი რამდენი ხანია არის
დაგვიყენეს ერთი დეთისაგან სელ-აღებუ-
ლი ლეჩინი — სასულად ზურბასს მოგახ-
სენებენ და თითქმის... გლეს-გაცმა-
სა... ჩვენ ყოველთვის ვაძვევთ ტყის
ფუფსა, როგორც გლესნი და როგორც
სასემიფოთა ხალხსა; ბილეთი სულში
გვიჭირავს და ის ვიდეო მაინც ამას
გვეუბნება: «თუ მეც მომცემთ რას-
მეს, ხომ რა კარგი და თუ არა ერთ
ღერს ფინისაზე არ დაგანებებთ აქედან,
რო დაისოცნეთ, მე ასე მსურს და თუ
გინდათ წადით და მიჩილეოთ». ჩვენ,
ერთი ძროხა ხალხი ვართ, ვერა გვი-
ქვამს რა და ჩვენის უთქმელობით კი
იქამდისინა სარგებლობს... და სხვა აღა-
რა შეკვიდიან რა... სად გაგონილს,
შენი ჭირიმე. ამ გვარი უსამართლობა.

ყუბასა, თუ აქუსთ ზედმესრული, მა-
შინ ესე უკანასკნელი, უნდა კი
უთოოდ იყოს მიცემითში, მაგალ:
მაღალს მთაზე, ჩემს ქუტყუანაში, ფოთ-
ლიანს ხეზე, ღრუბლიანს დღეში და
სხუანი; რათა იგულისხმებოდეს მაინ-
ცა, რომ არა მართო ზედმესრულ-
ნი, არამედ არსებითნიც არიან მი-
ცემითში.

და 2) ყოველი სიტყუა, რომელი-
ცა დაბოლოვდება ი-თა და რომელი-
საცა უნდა მიუჯდეს რომელიმე ზე-
მოხსენებულთაგანი თანდებული, მა-
შინ უკანასკნელი ასო, ი, მოისპობა
და დაერთვება მას თანდებული, მა-
გალ: სახლი, სახლში, სახლზე, კა-
რი, კარში, კარზე; ბანზე, წყალზე,
წყალში და სხუანი; მაგრამ ამათი
ზედმესრულიც მაინც კი უნდა იყოს
მიცემითში, მაგალ: მშენიერს ცხენ-
ზე, ლამაზს თვალზე, ჩემს წერილ-
ში, შენს სახლში და სხუანი.

მგონია, ეს უკანასკნელი კანონი
უფრო უადვილესად მივეფერება აწინ-

მაგრამ დღეს ჩვენში კი ხდება. აი, შე-
ნი ჭირიმე, — განაგრძო ვიდეო მ. სურ-
ბულმა: იმ დღეს ერთ აქურდ მსოფრეს —
სასულად ივანეს მოგახსენებენ, რა უფო!
წასულიყო ივანე და ბილეთით ერთი ურე-
მი ფინისა მოქმედებდა; ამ დროს ის
ლეჩინი (ზურბას) დასდგომდა წინ.
ივანეს აუღო და ბილეთი ეჩვენე-
ბინა; როგორ თუ შენ ჩემთვისაც
არაფერი მოგიტანიაო, ბევრი ელანდა
და ცუდი წაერთმევიან გირათა, რომ
თუ მეც ხამომიტან რასმეს, ხომ დაგა-
ნებებ, თუ არა და ამას დაგვირავებ დუ-
ქანში და წადი და შენ თითონ დაის-
სენიო... და ამისთანების მოქმედებას
ზურბასსა ხომ თვლას არ ექნება, რომ
მოგახსენო, შენი ჭირიმე... მაგრამ, ვინ
არის ჩვენი ყურის მკვლელები და ან ვინ
იქნება ამ ტანჯვის გამგონე; ყველა თა-
ვის საქმეს აკეთილებებს და სხვის წუ-
ხილი და ჩივილი მისთვის მხარე-
ლებას. არა, ბევრსა ნაღვლობს ჩვენი
მოსამართლე თუ ჩვენ ასე ვიტან-
ჯებით! იმას ხომ თავის დღეში არ შეს-
ცივა და ჩვენ თუნდა სიცივით ამოვი-
სოცნეთ, გული დაწვება თუ ცრემლები
გადმოსცვივას!... ასე, შენი ჭირიმე, ჩვე-
ნი საქმე, კარმა რა სოქვას სამზღვარიც
არ ექნება ჩვენს ვაი-გავლასსა და ჩი-
ვილს.

გახუდა გლესი. დაიშალა ყრილობე-
ბიც და მეც დაბურუნდი ჩემი სადგური-
საკენ... სულ ამ გვარი მოჩივარი არის!
თუ უნებია კაცი დაგინახეს სოფელ-
ში, ვინ იცის რამდენს სუკდებს წარ-
მოსთქვამს გლესი თქვენს წინაშე,
თითქო მათ გამაყურებულად თქვენ
მოკვლანთ ზენსა; მოგვიყვებათ გა-
თავებულად: საბაღასზედ, ტეფზედ, მო-
ხელზედ და სხვა...

მართლის სიტყვიერების მასალა

ბამოცანები.
(შეკრებილი შორაპნის მაზრაში)
ორჯულ შობილი ერთსულს კვლე-
ბს. 1)

დელ წესს; მაგრამ მე თვთ ვჭვრნობ,
რომ არც ეს არის ის შეურყვევლი
დელა-ბოძი, რომელზედაც უნდა დამ-
კვიდრდეს ახალი კანონი ახლანდელ-
თა მწერლებთათვის. მაშ, რა ექნათ?

თუ კელთსამძღვანი კანონი არ დაიდ-
უა, სრულებით გადარევენ ჩუქნის ენა-
სა. აბა, კარგად აწმონე ეს ჩემი
ჰაზრი, თუ ჰაზრი აწმონება, და მი-
ბძანე შენი საკუთარი ჰაზრი. — სასა-
ცილო კი არის, რომ ორნი მოხუ-
ცებულნი, ამ სოფლიდამ თითქმის გა-
სულნი, ელაპარაკობთ და ვჭაბასობთ
ქართულს ანბანზე.

ზუმინ ჩუქნს კლუბში იყო სადი-
ლი, სადაცა ბძანდებოდა ველიკი კნია-
ზი. სადილზე მოუვიდა ამას ტე-
ლეგრამა იმპერატორისა, რომელი-
შიაც აუწყებდა, რომ ორი რკინის
გზა დაუმტკიცა ჩუქნის მხარეს, ობი-
ლისილამ ბაქას და ობილისილამეც
ჭუფქას. ამაზე შეიქმნა დიდი სიხა-
რული, მილოცვა და სადღეგრძელოე-
ბი. მართლად და ეს გზები დიდად
ამაღლებს ჩუქნის ქუტყუანასა.

ამხარტავანი თათარი
დაიარება, ვეინისა; [ხეტილი ხაზები]
სამეტნავად შედღეობის; [ხეტილი ხაზები]
არ უმინია ჭირისა,
ჭრისტე დემრისა მოგავგონებს,
გამფრთხობი არის ძილისა. 2)

ერთი რამა სულეოი
კუდიანი და ჭრულია,
ჭათმის მატროს შეიღვთათვის
სინსილს გამწვევტეოას. 3)

ერთი რამ უნდა ფრინველი
მთას მიადგება გმირულად,
თავს სურავს წითელი ქუდი,
ტანთა აცვია ბებრულად,
მას თავის ჰირი ცუდად აქვს,
ახალი გამოპირულად,
სმელს დაჭრავს, ნუღლი გამოაქვს
მას თავის სარჩო გმირულად. 4)

ნადირი რამე მინასავს
უფრთო, უნისკრტო ფრინველი,
სახლი აქვს, ცენსლი ვერ დასწავს,
მხელას მისაგნებელი;
ყოველი კაცი მას დასდევს:
ერის კაცი და მწირველი. 5)

შავი არის მშვიდითა,
ივინებს ძაღლივითა,
მატრონს ღამით ათამაშებს
ჭამანსა და სტვირივითა. 6)

სუსტი, სუბუჭი ფრინველი
არ ითხვავს სასმელ-საჭმელსა,
გაცნა საზრდოსა უტვბილებს
და დემრისა უნთებს სახთელსა. 7)

მე მის მეფეს შავი სახისა,
არ არს ჩემი დედამისა,
ხან კვდება, ხან ცოცხლდება,
არის სხვა-და-სხვა ტანისა. 8)

ერთი რამ უნდა მავალი
გვერდით ჩნდა გამოვირდაო,
თუ გავიქვდი, გამოძევა,
თუ დაგდექ, დაგვა ისაო,
თუ სულში ავიდე რამე,

მოგილოცავ ძრისტეს აღდგესა,
ღმერთმა მალიროს ბევრჯელ ხილვა
შენი; ნატალიას კელს კოცნას მო-
ვასხენებ დღესასწაულების მილოც-
ვითა.

ძალუა მეთევან, მასო კარგად
არიან; დელა-კაცებს რა უჭირსთ, ვაი
ჩუქნი ბრალი! შაფლან ამბობს, ეს
ქუტყუანა არის დელა-კაცებისაო.

ღმერთი იყოს შენი მფარველი და
ვეგრეთუ მართლ-საქრისტიანოსი.
შეშმარიტად პატივისმცემელი
და მარადის ერთგული
თ. გრიგოლ ორბელიანი.
19-ს აპრ. 1875.

P. S. ამ წერილებთან ბრ. ორ-
ბელიანს გაეგზავნა იაკ. ალექს.-მეს-
ხიეისათვის «დაჯერდა» ბრ. სოლო-
გუბისა და აი თავში რა დაეწერა:
«ჩემო გულთ საყურადლო იაკინთეს
მართლობაში, ბუნარ წინ მჯდომი,
წაიკითხევე ამას, ეგებ გამხიარულდე.
შენი ბრიგოლ ორბელიანი.»

მან ბარგი აიკიდა, თქვენი ჭირიმი მიშველეთ, ეს რა გადასცემდა. 9)

ერთი პატარა ბაჭა, სიბრძნით არის მაკა. 10)

ძალი წვეს და კუდი ღრინავს. 11)

თავზედ გვირგვინი ადგია, მართული მეფესაჲთა, ფეხებზედა აქვს დეზები, ცხენზედ მჯდომ მხედარსაჲთა, ყოველ კაცს ადრე ადვილებს ერთგულ უარსაჲსაჲთა. 12)

ათასნი მძანი, ერთთ შეგრუნნი, დედის გულზედა მწკრივით აწვიან. 13)

შეიქნა ხმა და ძახალი, მრავალი წაქცევისა, უწყლოდ ერთი დაჭრილი, სისხლი არ დაიღვრებისა. 14)

ასლამაზა მე მქვიან, ასი ტყავი მაცხაა, ბრძულების ქობარი თავზედ გადამასხა. 15)

ჩაკვდა ოსების ოდენა, ამოჭდა გოჭების ოდენა. 16)

თოკი სვამს, ხბო იბრუნა. 17)

შავი არის შაშვიკათა, თეთრი არის, უგლევიკათა, კუდა არის თავიკათა. 18)

შავსა მიწას მიყურან, მწვანედ ამოუა ძირი, რტო მრავალი გაეზრდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, მწვანე, მკვანე ხილი იცის, საჭმელია მეტად გრილი. 19)

ქვესენელში დაბადებულან ორნი მძანი თეთრ-ყვითელნი, ჯოჯოხეთში მონათლულან, ამოსულან განწმენდილნი, გაჭრებთ გადაჭრულან, ყველანი იმათ მოყვრბდენ, ბებრები გინდა ემწვიდნი, არიან ქვეყნის შეიდეგლნი. 20)

მიწაში დაბადებულა, შორის ქვეყნიდამ მოსულა, ერთ მინუტასზედ გამჭრალა, რტო წვაღზედ დატეხულა. 21)

1) ქიაში. 2) შამალი. 3) გაჭკაჭი. 4) ხე კაუნა. 5) თევზი. 6) რწყილი. 7) ფუტყარი. 8) ჩრდილი. 9) ჩრდილი. 10) თითისტარი. 11) ფარა. 12) მამალი. 13) მნები. 14) მკა. 15) სიმბილი. 16) კიკრი. 17) ბოლოკი. 18) კიკრი. 19) ვერცხლი-და-ოქრო. 20) მარილი.

გამასესხებელი კასსა
კ. ე. ბარამოვისა და კ. აუთაისაი
 აცხადებს, რომ 10-ს და 27-ს რიცხვებს ამა სექტემბრისას დილის ათ საათიდან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით, გირავნები, რომელნიც არ არიან დახსნილნი შემდეგ ორის ლგოტის თვისა, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—3)

ქალაქ ქუთაისში იხსი კუპონებს მადაზიაში მიდევლია გარეშე ქვეყნიდგან მრავალ გვარნი რკინის კრავოტები სხვა-და-სხვა ზომის (односпальные и двуспальные) ძრითელ მშვენიერნი და აგრეთვე იაფნი. (5—2)

500 კრავოტი.
 კრავოტების ყიდვამდის, სასარგებლოა და კეთილ-გონიერებაც მოითხოვს ინახოს რავდენობა ინგლისის მადაზიისა არცრუნის გაღერეიაში № № 156, 157, 158 და 160 და ამ ნომრებს უკრადდებთ მიექცეს.

ქენია თ. მრისთავისაგან ახლათ გახსნილს ღვინის სარდაფში იყიდება საშაშითსო კახური ძველი ღვინო-ნომრი. სარდაფი იმყოფება ტური-ნოვის აფთიაქის პირ-და-პირ, სტამბის ქვეშ, მესხიეების სახლებში. (10—2)

ჩვენ გვსურს ავიყვანოთ უმაწვილები ნახლებნიკათ. (ქალი თუ ვაჟი სულ ერთია). მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: კუკიაში ახალი არსენლის ქუჩა ილიკო მანდივეის სახლი № 24. (5—5)

ქალი-ეკიმი
ა. ი. უჩაჩიანი
 მიიღებს ავად-მყოფებს დილით 10 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე მინაილოის ქუჩა. სახ. № 91 (ქალაქის ლაზარეთის პირ-და-პირ). (8—4)

ა. პირზაშვილი
 რეპეტიციის და მოსამზადებელი კლასები
 აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იწყება 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. ადრესი: ბრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომის სახლებში, ობმჩესტერის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. (20—20)

ინგლისის მალაზია
Maison de confiance


შეღარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 შ. 10 გ.	1 შ. 40 გ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუგუთეს 2—	— — 3—

იქვე იხილება სხვა საქონელიც: თოფები, რეკლამები, კრავოტები, ტურ-


ქელი, ჩაინები, კასადები, ღვინო, გოგონები, ტაშტები, კლეტონი-ქალაქი, შოკოლადი, კაკაო, კანდიტები, კრავოტები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—გაცის და ქალის, ხელ-სასოცები, მაგნეტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პრეტენტით უფრო აფად, ვიდრე სხვა რომელსამე მადაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნის არაფერს არ იხდის. (100—30)

ინგლისის მადაზიაში

თიის-აგოპუანი  **გაპ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—37)

საკლობუსო  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქალაქი. ერთადერთი სასაგენტო—ინგლისის მადაზია. იქვე აწარმოებენ სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „სელისათვის“—25% აფად, ვინც სხვაგან. იქვე: მუხანი, ქალაქი, განურტები, რეკლამები, ლაქი, კანდაში, პენალი, კალმები, ბუმიანკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაგნეტები, სამართებები, სანთელი, სალესი, ცანკები ტურტლების საწმედად (ბორაგსი), თეთრულისათვის, პატარა ხაღები, ასტავისათვის კლიონკები, ტანტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუმიანი, ზარები, ბინკები რეკლამები, ვატრპასები, მზის-სათები, კომპასები, ტრამბეტები, მეწვეები, ნემსები, მაგნეტები, სვისტოკი, პომოხი, ქამრები, სარტყლები. საყუდური, პრობები, საპრობები, გრანები, ფილტრები, შროტები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისანი მაგნეტოშები, კრავები, საქმიო ქალაქი ვატრ-გლავრისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშვი—20 კ. (100—78)

მაზანდა
 ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი ზური რუ-
 სუთის ფქვილისა — —1 გირ. 5 გ.
 აჭარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. 2 1/2 გ.
 მეორისა — —1 გ. 2 გ.
 იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
 პირველის ხარისხისა—1 გ. 5 გ.
 მეორისა — —1 გ. 3 გ.
 მესამისა — —1 გ. 2 1/2 გ.

ჯვარის-მამის ზური:
 პირველის ხარის. ღავაში 1 გ. 5 გ.
 მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 გ.
 მესამისა — —1 გ. 2 1/2 გ.

ძროხის სორტი:
 პირველის ხარისხისა—1 გ. 8 გ.
 მეორის — —1 გ. 7 გ.
 სუვი . . . —1 გ. 15 გ.
 ცხვრის სორტი —1 გ. 8 გ.

რკინის გზა
 თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით. თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა. ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა. ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა. ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.